საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი
MINISTER OF EDUCATION AND SCIENCE OF GEORGIA

MES 3 18 00064014

24/01/2018

საქართველოს შრომის, ჯანრთელობისა და სოციალური დაცვის
მინისტრს ბატონ დავით სერგეენკოს

ბატონო დავით,

მოგახსენებთ, რომ ,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონში 2018 წლის 11 იანვარს განხორციელდა ცვლილება, რომლის თანახმად უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო შედგება მუდმივი წევრებისა და მოწვეული წევრებისაგან.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს საქმიანობაში მოწვეული წევრები მონაწილეობენ მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის მიერ წარდგენილ საავტორიზაციო განაცხადში მითითებულია „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 75-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული რეგულირებადი აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა (მედიცინის ერთსაფეხურიანი პროგრამა). ამასთან, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მოწვეულ წევრებს აქვთ ხმის უფლება.

განხორციელებული ცვლილების შესაბამისად, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მოწვეულ წევრებს სამინისტროს წარდგინებით ნიშნავს და ათავისუფლებს საქართველოს პრემიერ-მინისტრი. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მოწვეული წევრების კანდიდატურათა შერჩევისას სამინისტრო ხელმძღვანელობს საბჭოს დაკომპლექტებასთან დაკავშირებით სამედიცინო განათლების მსოფლიო ფედერაციის მიერ დადგენილი მოთხოვნებითა და კრიტერიუმებით *(დანართი).*

აღნიშნული რეკომენდაციის გათვალისწინებით, მიზანშეწონილად მიგვაჩნია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მოწვეული წევრების რაოდენობა განისაზღვროს 15 წევრით.

0102 ქ.თბილისი, დიმიტრი უზნაძის ქ. 52
52 Dimitri Uznadze str. Tbilisi 0102, Georgia, www.mes.gov.ge
ტელ/Tel.:(+995 32) 2 200 220

სამედიცინო განათლების მსოფლიო ფედერაციის მიერ დადგენილი მოთხოვნებისა და კრიტერიუმების თანახმად, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს წევრების უმრავლესობას უნდა ჰქონდეს სამედიცინო განათლება და სამედიცინო საზოგადოებაში უნდა სარგებლობდნენ მაღალი რეპუტაციით. დადგენილი მოთხოვნების თანახმად, საბჭოს მოწვეული წევრების ერთი მესამედი წარმოდგენილი უნდა იქნეს იმ სამთავრობო მარეგულირებელი დაწესებულებებიდან, რომლებიც სახელმწიფოში არეგულირებენ სამედიცინო განათლების, ჯანდაცვის საკითხებს.

იმის გათვალისწინებით, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს უახლოეს პერიოდში მოუწევს ისეთი საავტორიზაციო განაცხადების განხილვა, სადაც მითითებული იქნება მედიცინის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა, მოგმართავთ თხოვნით, საქართველოს პრემიერ-მინისტრისთვის წარდგენის მიზნით მოგვაწოდოთ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მოწვეული წევრობის 5 კანდიდატი იმ სამთავრობო მარეგულირებელი დაწესებულებებიდან, რომლებიც სახელმწიფოში არეგულირებენ სამედიცინო განათლების, ჯანდაცვის საკითხებს.

დანართი: 14 (თოთხმეტი) ფურცელი.

პატივისცემით,

მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების
სამინისტრო
მინისტრის პირველი მოადგილე
ქეთევან ნატრიაშვილი